91 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი, გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.



91 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №23 (7121) 2 დეკემბერი 2024 წელი

პროტესტების ფონზე...

საქართველოს პარლამენტის 26 ოქტომბრის არჩევნების შედეგებთან დაკავშირებით, საპროტესტო გამოსვლები ნოემბრის თვეშიც გადავიდა—იყო სარჩელების ხმაურიანი სასამართლო განხილვები და ასევე ცესკოს შემაჯამებელი ხმაურიანი სხდომაც...

ხელახალი არჩევნების ჩატარების მოთხოვნის თაობაზე საპროტესტო აქციების ფონზე, დაინიშანა და ჩატარდა ახალი მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომაც, სადაც არჩეული იქნა პარლამენტისა და კომიტეტების თავმჯდომარეები, დამტკიცდა მთავრობის ახალი კაბინეტი და პრემიერ-მინისტრი, განისაზღვრა პრეზიდენტის არჩევნების და ინაუგურაციის დღეები, დასახელდა კანდიდატურაც...

ხაზგასასმელია, რომ მთელ ამ პროცესს თან ერთვოდა ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ ჩვენი ქვეყნისათვის არასასურველი რეზოლუციის პროექტის მიღება და მწვავე პოლიტიკური განცხადებები...

განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ 2028 წლის ბოლომდე შეაჩეროს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესი და ამავე პერიოდში თქვას უარი ყოველგვარ საბიუჯეტო დახმარებებზე ევროკავშირის მხრიდან...

ყველაფერს ამას კი, 28 ნოემბერს ღამით, საქართველოს პარლამენტთან, რუსთაველზე ოპოზიციურად განწყობილი საზოგადოების სასწრაფო შეკრება მოჰყვა, რაც სამართალდამცავებთან შეხლა-შემოხლით და დაკავებებით დასრულდა...

იგივე განმეორდა 29 ნოემბრისა და 30 ნოემბრის ღამითაც. ყველა შემთხვევაში, მომიტინგეთა საპოლიციო ძალებით დაშლას მძიმე შედეგები მოჰყვა — ბევრია დაკავებული, დაზარალდა პროტესტის ასეულობით მონაწილე, ბევრმა მიიღო მძიმე ტრავმა და სხვადასხვა დაზიანება. დაზარალებულები ასევე არიან სამართალდამცავები და ჩვენი კოლეგა ჟურნალისტებიც, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ — ჩვენი სოლიდარობა მათ...

საპროტესტო გამოსვლები ქვეყნის რეგიონებშიც გაიმართა.

ცხადია, რომ ასე გაგრძელება სიკეთეს ვერ მოგვიტანს. მუდმივი დაპირისპირებებითა და პროტესტებით ჩვენი ქვეყნის წინსვლას ვერ მივაღწევთ...

უხვმა ნალექებმა პრობლემები შექმნეს

ნოემბრის ბოლო დღეებში, საქართველოში რთული მდგომარეობა შეიქმნა მეტეოროლოგიური თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. გადაუღებელმა წვიმებმა და თოვლომა ბევრი დაზიანება და შეფერხება გამოიწვია. იმერეთში ელექტროენერგია გაეთიშა 70,0 ათასზე მეტ აბონენტს.

ძლიერი წვიმების შედეგად: ქუთაისში, წყალტუბოში, ვანში, ბაღდათში, თერჯოლაში, ზესტაფონსა და სამტრედიაში დაიტბორა ქუჩები, საკარმიდამო ნაკვეთები და ეზოები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები და 40-მდე საცხოვრებელი სახლის პირველი სართულები.

უხვი ნალექის შედეგად მეწყრული პროცესები განვითარდა ვანში, სამტრედიაში, ბაღდათსა და ქუთაისში.

28 ნოემბრის სტიქიამ თერჯოლა-ტყიბულის საზღვართან, წინწკილის მიმდებარე ტერიტორიაზე ელექტრო ენერგიის გადამცემი სისტემა დააზიანა, რის შედეგად ელექტრო ენერგია არ მიეწოდებოდა სოფელ გოგნის მოსახლეობას.

დაზიანების ადგილზე იმყოფებოდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მოადგილეზვიად ბაზაძესთან და ენერგო პროს ხელმძღვანელებთან ერთად.

სტიქიამ მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურაც დაზიანა, ჩარეცხილია სოფლის საუბნო გზები.

უხვად მოსულმა წვიმამ ასევე დატბორა მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრები რამდენიმე ოჯახის სახლის პირველი სართულები.

ამ დროისათვის თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიღებული ოპერატიული ზომების, ენერგოპროს და მუნიციპალიტეტის სპეციალური ჯგუფების მიერ პრაქტიკულად ყველა მნიშვნელოვანი დაზიანება აღმოფხვრილია, აღუდგა ელმომარაგება სოფ. გოგნის მოსახლეობას, მიმდინარეობს მუშაობა საუბნო გზების მოსაწერისრიგებულად.

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული

დასაწყისი. დასასრული მომავალ ნომერში

საოცრად ლამაზი გათენდა 17 ნოემბრის დილა.

წინა დღის კოკისპირული წვიმის შემდეგ ეს მართლაც ნანატრი დღე—შეიძლება ითქვას, უფლის საჩუქარი, ძალიან მოუხდა დღესასწაულს, რომლისთვისაც თერჯოლის მუნიციპალიტეტი, მისი თითოეული ადმინისტრაციული ერთეული, ყველა თერჯოლელი, დიდი თუ პატარა საგულდაგულოდ ემზადებოდა. ამ დღეს დიდი ზეიმია ჩვენთან...

უკვე ტრადიციად დამკვიდრებული სახალხო დღესასწაული „თერჯოლობა“ ის დღეა, როცა ამ პატარა, კოპწია ქალაქს ეძლევა შანსი სრულად წარმოაჩინოს იმერელი ადამიანის ბუნება, გემოვნება, საზრიანობა, ყოფა-ცხოვრება, გნებავთ ინტელექტი, შემოქმედებითი პოტენციალი და რაც მისთვის უმთავრესია, სტუმართმოყვარეობა და აქვს პრეტენზია ამ მხრივ გამორჩეულიც იყოს რეგიონში...

კვირა დღეა, თუმცა ადრე დილიდან იღვიძებს სრულიად თერჯოლა...

ჩვენი ულამაზესი სოფლებიდან დაიძრნენ ავტომანქანები თუ მიკროავტობუსები ქალაქის ცენტრში თავიანთი კუთხეების მოსაწყობად საჭირო ინვენტარით: შემოდგომით მოწეული მოსავლით თუ დიასახლისთა სანიმუშოდ „ნახელავი“ თავმოსაწონებელი პურ-მარილითა და სხვადასხვა სახის საუკეთესო ღვინით სავსე დოქებით.

სადღესასწაულოდ მორთულ ქალაქში დილიდან ისმის მუსიკა...

მოჰქონდათ მაყალი, სამფეხა და საფელამუშე თუჯია, არყის გამოსახდელი მოწყობილობა, საწნახელი, ჭურები და თონეები, ხის კასრები, მოწნული ღობეები, ღვინის გადასაღებ-გადმოსაღები საშუალებები, ასწლოვანი ხის გობი, შამფურები, კეცები, სხვადასხვა სახის სასმისები, ჭინჭილა და კულაც. მართლაც და რას არ ნახავდით—იყო წინა საუკუნიდან: სპილენძის ქაფქირი, ნავთის ლამპა და ჭრაქიც კი, მინიატურული ოდა სახლები, ურმები, სკივრები, სოფლის ოჯახებისათვის საჭირო ნივთები თუ ჭურჭლები.

მუნიციპალიტეტის მერიის მიმდებარე ტერიტორიამ—ორივე გვერდითმა ქუჩამ და ლაშა გოგიაშვილის სახელობის ულამაზესმა სკვერმა ყველა მონაწილე დაიტია, სტუმარიც და მასპინძელიც, რომელთა შესახებაც გზადაგზა მოგიყვებით.

☞4

„თერჯოლობა“ 2024

„ჩემს თერჯოლას სკანდის ციხით დავუდგები დარაჯად, დავცემულვარ მუხლზე ლოცვად დედაღვთისას კარადა, სიყვარული მოდის ჯარად, სიძულვილი არა ჩანს...“

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაზარალებულ ოჯახებს სამშენებლო მასალები გადაეცათ.

ამ დღეებში, მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე ამ ოჯახებს შეხვდა და მათ დაზიანებული სახლების სახურავების შესაკეთებლად საჭირო მასალები პირადად გადასცა.

საქართველოს მთავრობის განკარგულების შესაბამისად, თერჯოლის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, 75 000 ლარი გამოეყო, რაც ძლიერი ქარის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენას მოხმარდება.

მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხებით, მუნიციპალიტეტში სტიქიით დაზიანებული 5 საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია მოხდება, ხოლო სოფელ ბარდუბანში დავით მარგველაშვილის ოჯახს, რომელსაც სტიქიის შედეგად გაჩენილი ხანძრით საცხოვრებელი სახლი სრულად გაუნადგურდა, ახალი სახლი აუშენდება.

შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო ჩხიკვაძე და მერის წარმომადგენელი კოტე ძოწენიძე ესწრებოდნენ.

საჩუქრად გამათბობლები

ამ დღეებში,ზამთრის სეზონის დადგომასთან დაკავშირებით, თერჯოლაში მრავალშვილიან ოჯახებს გამათბობლები გადაეცათ. გაზის გამათბობლები, რამდენიმე შეჭირვებულ ოჯახს, მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ პირადად გადასცა, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან ერთად.

ეს მორიგი სოციალური აქცია, მუნიციპალიტეტში მოქმედი ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა.

მიმდინარე წელს, აღნიშნული პროგრამით, საჭირო საყოფაცხოვრებო ტექნიკა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 30-მდე ბავშვიან ოჯახს გადაეცა.

თუზში საგზაო ინფრასტრუქტურა ეწყობა

რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით სოფ. თუზში, ჩაფიჩაძეების უბანში, მიმდინარეობს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის ღირებულება შეადგენს 315727 ლარს. პროექტის ფარგლებში მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარიანი საავტომობილო გზა 4000 მ2-ზე. სამუშაოებს ასრულებს შპს „მეკა”.

ამ დღეებში, სოფელ თუზში, სამშენებლო სამუშაოები ადგილზე დაათვალიერა მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, რომელიც მონიტორინგზე საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან, მოადგილე მირზა ქოჩიაშვილთან და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

სასარგებლო სოციალური აქცია

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ორგანიზებით, თერჯოლაში პერიოდულად ტარდება თვალის უფასო გამოკვლევები.

მორიგ აქციაზე, თერჯოლაში, პარასკევს—22 ნოემბერს, საბავშვო ბიბლიოთეკის შენობაში, სხვადასხვა სახის უფასო გამოკვლევები ადეიშვილის თვალის კლინიკის ექიმებმა ჩაატარეს.

სოციალურ აქციაში ყველა ასაკობრივი კატეგორიის პაციენტი იყო ჩართული, რაც ითვალისწინებდა შემდეგი სახის კვლევებს: ვიზომეტრია, რეფრექტომეტრია, ტონომეტრია, მხედველობის სიმახვილის დადგენა და სათვალის შერჩევა.

ქუთაისის ადეიშვილის სახელობის თვალის კლინიკის გამოკვლევებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის ათობით მოქალაქემ ისარგებლა.

მადლობა ადეიშვილის კლინიკის ოფთალმოლოგებს თანადგომოისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მომავალი 2025 წლის ბიუჯეტი—როგორი იქნება იგი...

2024 წლის 22 ნოემბერს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში რიგგარეშე სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

საკრებულოს 22 ნოემბრის რიგგარეშე სხდომამ, ერთადერთი საკითხი განიხილა. ეს საკითხი მუნიციპალიტეტის მომავალი, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტს ეხებოდა, რომელიც სხდომას განსახილველად წარუდგინა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ „თერჯოლის“ წინა ნომერში, ჩვენ განსაზღვრული გვქონდა ბატონი თემურ ქოჩიაშვილის კომენტარების გამოქვეყნება საკრებულოს წინა—6 ნოემბრის სხდომაზე მის მიერ წარდგენილ საკითხთა ირგვლივ, რაც ობიექტურ მიზეზთა გამო გადაიდო.

ამჯერად, ჩვენი გაზეთის ამ ნომერში, გთავაზობთ კომენტარებს, როგორც 6 ნოემბრის, ისე 22 ნოემბრის სხდომაზე წარდგენილი საკითხების თაობაზე.

თემურ ქოჩიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე:

„საგაზეთო კომენტარებს, ორივე სხდომაზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, გავაკეთებ სხდომის რიგითობის თანმიმდევრობით.

ჩვენმა კომისიამ, 6 ნოემბრის სხდომაზე 7 საკითხი შეიტანა განსახილველად. აქედან კომენტარს გავაკეთებ მხოლოდ ერთ საკითხზე, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 9 თვის შესრულებას ეხებოდა.

უპირველესად აღვნიშნავ, რომ მიმდინარე წლის ბიუჯეტი თავდაპირველად ჩვენ დავამტკიცეთ 19 150,0 ათასი ლარის მოცულობით.

2024 წლის სამი კვარტლის განმავლობაში ამ ბიუჯეტის ცვლილება 11-ჯერ განხორციელდა, აქედან 6-ჯერ საკრებულოს მიერ და რაც მთავარია, ყოველჯერზე ეს ცვლილება იყო ბიუჯეტის ზრდის თვალსაზრისით.

უნდა ითქვას, რომ ჩვენ, მუნიციპალიტეტის საკრებულო და საფინანსო-საბიუჯეტო კომისია, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ყოველმხრივ ვცდილობდით და ვცდილობთ, რომ მოცულობაში ბევრად გაზრდილი 2024 წლის ბიუჯეტი (33 788,3 ათასი ლარი) წარმატებით შევასრულოთ.

ვფიქრობ, 9 თვის შედეგები, რომელიც 6 ნოემბრის სხდომაზე განვიხილეთ, გვაძლევენ იმის თქმის საშუალებას, რომ საკრებულო და მერია ერთობლივი მუშაობით შეძლებენ ამ ამოცანის პირნათლად შესრულებას, რითაც მყარი საფუძველი შეექმნება მომავალი საბიუჯეტო წლის ეფექტურად მართვას.

რაც შეეხება საკრებულოს მიმდინარე წლის 22 ნოემბრის სხდომას, ჩვენ მასზე განსახილველად და შემდგომში დამტკიცების მიზნით შევიტანეთ თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი, პროგრამული ბიუჯეტის დანართი და პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტი.

მომავალი წლის ბიუჯეტი ამ პროექტით გაწერილია 20 500,0 ათას ლარზე.

საკითხი სხდომამდე განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს წინადადებებისა და შენიშვნების წარმოდგენის მიზნით. ამავე დროს, კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის მიერ მოხდა თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის გამოქვეყნება საკრებულოს ოფიციალური ვებ-გვერდის საშუალებით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისათვის ჩატარდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის გაფართოებული სხდომა, სადაც მოწვეული იყო საკრებულოს ყველა წევრი, მერიის სოციალური სამსახურის და საფინანსო სამსახურის წარმომადგენლები.

2024 წლის 22 ნოემბერს კი, საკრებულოს სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი ავთანდილ ურიადმყოფელი და მერიის სხვა პასუხისმგებელი პირები, 2025 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების შემდეგ, რეგლამენტით დადგენილი წესით, გაკეთდა მოხსენებები კომისიების, ფრაქციის ხელმძღვანელთა და საკრებულოს წევრთა მიერ.

საკრებულოს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და მოსაზრებების გათვალისწინებით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულომ გადაწყვიტა, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას დაუბრუნდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი შემდეგი შენიშვნებით:

—2025 წლისათვის წარმოდგენილ ბიუჯეტში გაზრდილ იქნას ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებელი—50,0 ათასი ლარით;

—გაზრდილ იქნას დასახლებული ტერიტორიების დასუფთავების მოსაკრებელი—50,0 ათასი ლარით;

—გაზრდილ იქნას არაფინანსური აქტივებიდან შემოსავალი—50,0 ათასი ლარით;

დარწმუნებული ვარ, რომ მუნიციპალიტეტის მერია, გაითვალისწინებს შენიშვნებს და ჩვენ შევძლებთ ამ ცვლილებებით მალე დავამტკიცოთ 2025 წლის ბიუჯეტი, რომელიც 150,0 ათასი ლარით მეტი იქნება თავდაპირველად წარმოდგენილზე.

იმედიც მაქვს, რომ მომავალ წელში ეს ბიუჯეტი მატების მხრივ, კიდევ ბევრჯერ განიცდის ცვლილებას და მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა, მისი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება მაქსიმუმს გააკეთებენ მისი წარმატებით შესასრულებად.“

ზამთარში, რომ უსაფრთხოდ იმოძრაოთ!

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს განცხადებას, რომ პირველი დეკემბრიდან, გზის ცალკეულ მონაკვეთებზე სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით აღჭურვა სავალდებულოა.

ზამთრის პერიოდში, პირველი დეკემბრიდან პირველ მარტამდე, გზის ცალკეულ მონაკვეთებზე სატრანსპორტო საშუალების ზამთრის საბურავებით მოძრაობა სავალდებულოა.

ამასთან, ზამთრის პერიოდში, მეტეოროლოგიური პირობების გათვალისწინებით, პოლიციის მიერ შესაძლოა დაწესდეს სატრანსპორტო საშუალების არანაკლებ წამყვან თვლებზე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის დამაგრების მოთხოვნა.

ზამთრის საბურავი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

საბურავზე დატანილი უნდა იყოს სიმბოლო – ფიფქი.

საბურავის პროტექტორის სიღრმე უნდა იყოს:

- არანაკლებ 3 მმ. – მსუბუქი ავტომობილებისთვის (M1) და სატვირთოებისთვის (N1, N2, N3);

- არანაკლებ 4 მმ. – მიკროავტობუსისთვის (M2) და ავტობუსისთვის (M3);

საბურავის დამზადებიდან არ უნდა იყოს გასული 10 წელი;

საბურავზე შესაძლებელი უნდა იყოს დამზადების თარიღის წაკითხვა;

ავტობუსისთვის (M3) და 3.5 ტონაზე მეტი სრული მასის მქონე სატვირთო სატრანსპორტო საშუალებისთვის (N2, N3) დასაშვებია იმგვარი ზამთრის საბურავით გადაადგილება, რომელზეც არ არის დატანილი სიმბოლო - ფიფქი. ამ შემთხვევაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფი უფლებამოსილია ზემოაღნიშნული კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებისთვის დააწესოს არანაკ-

ლებ ერთი წამყვანი ღერძის ყველა თვალზე სათანადო მახასიათებლების მქონე მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის დამაგრების მოთხოვნა.

მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი უნდა იყოს ქარხნული წესით დამზადებული, სატრანსპორტო საშუალების საბურავის ზომის შესაბამისი და თოვლით/ყინულით დაფარული გზის ზედაპირზე გამოსაყენებლად ვარგისი.

მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ თოვლით ან/და ყინულით დაფარულ გზაზე.

- თუ ზამთრის საბურავი ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, პოლიციელი უფლებამოსილია პირს აუკრძალოს დადგენილებით განსაზღვრულ ადგილას/გზის მონაკვეთზე შესვლა.

- თუ ზამთრის საბურავი ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს და ამ სატრანსპორტო საშუალებით მოძრაობა საფრთხეს უქმნის საგზაო მოძრაობის მონაწილეებს, პირს შესაძლოა დროებით ჩამოერთვას სატრანსპორტო საშუალება და განთავსდეს დაცულ სადგომზე.

ზამთრის საბურავისა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევაში, პირი დაჯარიმდება 100 ლარით და მართვის მოწმობისთვის მინიჭებული ქულათა რაოდენობა შეუმცირდება 5 ქულით.

დეტალური ინფორმაცია ზამთრის საბურავისა და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვის სათანადო მახასიათებლების, ასევე, იმ ადგილის/გზის მონაკვეთების ჩამონათვალის შესახებ, სადაც ზამთრის პერიოდში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობა სავალდებულო იქნება ზამთრის საბურავებით ან/და მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვით.

მშვიდობიან მგზავრობას გისურვებთ!

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული „თერჯოლობა“ 2024

1☞

თითოეულმა სოფელმა მათთვის განკუთვნილი ადგილი დაიკავა და თავიანთი კუთხის მოწყობას შეუდგა. ყველა ცდილობდა და თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებოდა ლამაზი, ორიგინალური სანახაობით დახვედროდა სტუმრებს.

ძნელია აღწერო ის სილამაზე, ძველი თუ ახალი ნივთების სიმრავლე, რაც ასე უხვად ჰქონდა წარმოდგენილი თითოეულ მონაწილე ჯგუფს. ულამაზესი ფერები, სხვადასხვა აქსესუარები და გემოვნებით გაფორმებული ფასადები გულგრილს ნამდვილად არავის ტოვებდა.

მალე მაგიდები ქათქათა სუფრებით დაიფარა და დიასახლისები მაგიდის გაწყობას შეუდგნენ, მამაკაცებმა მაყალი აანთეს, მწვადები აასხეს, თონეში ფიჩხი ჩაანთეს. გაჩაღდა სამზადისი. მოდუღდა ფელამუში. თვალსაჩინო ადგილი მიუჩინეს სადეგუსტაციო ღვინოებს.

„იმერულმა ეზომ“ და თითოეულმა მისმა შემადგენელმა კუთხემ აჩვენა, რომ სოფელს თავისი განსაკუთრებული შნო და ლაზათი აქვს, თავისი სიმდიდრეც მოდგამს ნატურალური პროდუქციის სახით და თუნდაც ერთი დღე, სტუმრებთან თავმოსაწონებლად შეუძლია მაგიდა გოჭითაც „დაამშვენოს“, მრგვალად მოხარშული ინდაურით, შემწვარი ვარიით, ხაჭაპურითა და ცხელ-ცხელი მწვადებით, ჩურჩხელა-ტყლაპებითა და მრავალფეროვან ხილ-ბოსტნეულთან ერთად.

თერჯოლა, ადგილი, სადაც სიყვარულით გელიან...

თერჯოლაში ყველა ერთმანეთს იცნობს. იყო ჩახუტება, მოკითხვა, მოფერება, გადაძახებ-გადმოძახება, მიპატიჟება, სადღესასწაულო მილოცვები. ეს დალაგება-დაბინავება თუ სამზადისი სტუმრებთან რიგიანად დასახვედრად იყო ერთგვარი ხიბლი და სილამაზე, როცა ყველამ და ყველაფერმა თავისი ადგილი დაიკავა, კიდევ ერთხელ შეამოწმეს თავიანთი კუთხეების სიმშვენიერე. სანახავად მოსულმა ადამიანებმაც მალე დაიწყეს დათვალიერება.

„იმერულმა ეზომ“ იმერული ჟესტითა და მოპატიჟებით ფართოდ გაუღო კარები ყველას, ადგილობრივსა და სტუმრებს. თერჯოლელი თეატრალები სახალხო თეატრის მსახიობები: თინა პატარიძე, გია ნიკოლაძე და ლელა ამირანაშვილი იმერული თავაზიანობით და სტუმარმოყვარეობით ეგებებოდნენ თითოეულს. იქვე, ჭიშკართან კი საქვეყნოდ ცნობილი თერჯოლელი მომღერლები, ქალთა ანსამბლ „იამეს“ წევრები, ბაფთიან გიტარაზე იმერულ მოტივებზე შესრულებული სიმღერების ულამაზესი ჰანგებით ატკბობდნენ მოსულთ...

იმერელი გლეხის ხელით მოწეული შემოდგომის ხვავი და ბარაქა საოცრად ალამაზებდა თუზელთა თუ საზანოელთა, ალისუბნელთა თუ რუფოთელთა, ჭოგნარელთა თუ ახალთერჯოლელთა, ნახშირღელელთა თუ გოდოგნელთა საზეიმოდ მორთულ „სოფლებს“. ასევე მრავალფეროვნება და სილამაზე გეგებებოდათ ეწრის, ღვანკითის, სიქთარვის, ქვედა და ზედა სიმონეთლების, ბარდუბნის, კვახჭირის, ჩხარის, გოგნისა და ძევრის საზეიმოდ მორთული კუთხეებიდან, სადაც თითოეული სოფლის მშრომელი ადამიანების, სკოლების, საბავშვო ბაღების წარმომადგენლებს სოფლების ხელმძღვანელებთან ერთად, მრავლად ნახავდით რაიონის სტუმრებს.

ქალაქ „თერჯოლას“, ისე როგორც თითოეულ სოფელს, თავისი ადგილი ჰქონდა ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში. იქ, სადაც ამფითეატრის მიმდებარე ტერიტორია შემოდგომის ფერებითა და სურნელებით იყო გაჯერებული, დახვეწილი, გემოვნებიანი და ორიგინალური დიზაინით მოწყობილი ერთნაირად იზიდავდა ყველა ასაკის სტუმარს და დამთვალიერებელს, რომელთაც ისინი შესანიშნავად იყენებდნენ ფოტოსესიისთვის... შემოდგომის ფერებში მორთული და ყვავილებით გაფორმებული საქანელა დიდებსაც და პატარებსაც ძალიან მოსწონდათ.

ყველაზე მეტი „სტუმარი“ ჰყავდა „ჯადოსნურ საშემოდგომო სარკეს“, სადაც მუდმივად ხალხმრავლობა იყო. ყველაფერი იყო გათვალისწინებული როგორც დიდებისათვის, ასევე პატარებისათვის. გარდა იმისა, რომ მათ უფროსების დახმარებით ამოავლეს ჩურჩხელები, კარგადაც გაერთვნენ „გოგრის ჯოხით“, ხის ვეებერთელა ფუღუროთი, სადაც „ციყვი“ ბინადრობდა, ხოლო ქვეშ „ზღარბუნია“ აგროვებდა სარჩოს ზამთრისათვის. ულამაზესი „შემოდგომის დედოფალი“ მეტ შნოსა და ლაზათს სძენდა გარემოს და ყველაფერი ეს ბუნებრივი მასალებით „მზეკაბანელი“ მოსწავლეების, მათი მშობლების და პედაგოგების ხელით იყო შექმნილი, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს თერჯოლელთა კუთხის გალამაზება-გაფორმებაში.

„თერჯოლობა“, „იმერული ეზო“ როგორ წარმოგიდგენიათ დიდი დავით კლდიაშვილის გარეშე, ბუნებრივია, ვერ იქნებოდა და მას სკვერის თვალსაჩინო ადგილზე ფართო ადგილი ეკავა. თვალის ერთი შევლებაც საკმარისი იყო, რომ დაგენახათ დავითის დროინდელი იმერული სოფელი—დეკორაციებით, თანამედროვე გემოვნებით შეზავებული და მისი ცნობილი პერსონაჟებით, ოღონდ სინამდვილეში...

დიახ, აქ იყო „კლდიაშვილი მარადიული მასპინძელი“: სათანადო ატრიბუტიკით კარგად გაცოცხლებული სცენებით დავითის ნაწარმოებთა ცნობილი პერსონაჟებით. იყო იმერული იუმორით გაჯერებული სამწუხარო რეალობაც—ხელმოცარული მაჭანკალი სოლომონი, ნიკო, უმზითვო გასათხოვარი ქალისა და მისი პატრონის გულისტკივილი, ბეკინას არც ისე მხიარული ქორწილის სცენა, ეფროსინესთან და სონიასთან სოლომონის გასაუბრება და ისევ ტყუილი, სულ ტყუილი...

შემდეგ კი ნიკოს მიპატიჟებაზე გაოცებული სოლომონი.

„ნიკო: სოლომონ ბატონო, აქეთ მობრძანდით, ანტრე, ჩემო ბატონო, ა სუფრა... იფ... იფ...

სოლომონი: სად ვართ ბოშო? მესიზმრება?

—არა ბატონებო, თქვენ „თერჯოლობაზე“ ხართ, ოცდამეერთე საუკუნეში და თქვენი კონკრეტული მასპინძელია მოსწავლე-ახალგაზრდობის „ცენტრი“. აქ ყველაფერი უხვადაა, მათ შორის დასაქორწინებელი გვრიტებიც, მაგრამ თქვენს ხელობას ყავლი-გაუვიდა, ამიტომ საპატიო სტუმრები ბრძანდებით...

—დაილოცეთ ბატონებო“...

დიახ, იყო დალოცვაც, საუკეთესო ცეკვა-სიმღერებიც, აგრერიგად რომ მოუხდა სადღესასწაულო განწყობას, რომელსაც ასრულებდნენ დავითის პერსონაჟები. ყოველივე ამის შემოქმედი კი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, მისი პედაგოგები და მოსწავლეები, ამჯერად ნამდვილი იმერლები დავით კლდიაშვილის „იმერული ეზოდან“. ☞5

„თერჯოლობა“ 2024

4☜

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული

საამაყო თერჯოლელები წარსულიდან

„თერჯოლობაზე“ წარმოდგენილი იყო კუთხე, რომელიც ეძღვნებოდა საქვეყნოდ და მსოფლიოში ცნობილი საამაყო თერჯოლელების მამა-შვილის, საქართველოს სახალხო არტისტების, მომღერალ მედეა და პეტრე ამირანაშვილების პატივისგებას, გახსენებას და ახალგაზრდა თაობისათვის იმის შეხსენებას, რომ აქ, თერჯოლაში, აღზრდილ ადამიანებს რაოდენ დიდი წვლილი მიუძღვით ქართული საოპერო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში.

ჩხარელებს ეამაყება აგრეთვე მეცნიერი, ხელოვნებათმცოდნე, აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში და შექმნა უნიკალური ხელოვნების ეროვნული გალერეა.

თერჯოლის ცენტრს ამშვენებს მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლის, გრიგოლ რობაქიძის ბიუსტი, რომელიც დიდ მწერალს მისმა მშობლიურმა რაიონმა დიდი პატივისცემის ნიშნად დაუდგა გასულ წელს.

თერჯოლა იხსენებს და მუდამ იამაყებს წარსულის ამ დიდებული ადამიანებით, „თერჯოლობაზე“ თუნდაც მათი სახეების ფოტოებში ხილვა სწორედ ამ დიდებულ მიზანს ემსახურება.

* * *

თერჯოლის ტურისტული პოტენციალი უკვე საკმაოდ პოპულარულია და ბუნებრივია. „თერჯოლობა-2024“ წლის საზეიმო ღონისძიებაში აქაური ტურიზმის მიმართულებაც იღებდა მონაწილეობას. სკვერში, თვალსაჩინო ადგილას, განთავსებულ ადგილას ტურისტულ კარვებთან ერთად წარმოდგენილი იყო საინფორმაციო მასალები, რომლებიც ასახავენ თერჯოლისა და იმერეთის ტურისტულ პოტენციალსა და მიზნად ისახავენ მის პოპულარიზაციას. აქვე წარმოდგენილი იყო დასურათებული ყველა ის ობიექტი, რომელიც ბოლო წლებში გაიხსნა თერჯოლის მუნიციპალიტეტში.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში უკვე მრავლად არის საოჯახო მარნები, საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, რაც თავისთავად ხელს უწყობს როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე მთელი ქვეყნის მასშტაბით ტურიზმის განვითარებას.

თერჯოლის სამხატვრო სკოლა აღიარებულია როგორც თერჯოლის ერთ-ერთი სავიზიტო ბარათი. აქ მიღებული ცოდნითა და ხატვის ხელოვნებაში გაწაფული გოგო-ბიჭები, არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ. „თერჯოლობა-2024“-ზე, სკვერის გვერდით—თითქმის სკოლის შენობამდე აღწევდა სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, რომელიც მოეწყო სამხატვრო სკოლის პედაგოგთა ორგანიზებით. აქ იყო აგრეთვე სკოლის დირექტორის, ღვაწლმოსილი ქალბატონის თამარ ღარიბაშვილის ნამუშევრების გამოფენაც, რომლებსაც ინტერესით ათვალიერებდნენ თერჯოლელები თუ სტუმრები.

თვალსაჩინო ადგილზეა გამოფენილი ხელოვნების ნიმუშები, რომლის ავტორიც გახლავთ თერჯოლის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის თექა-გობელენის წრის ხელმძღვანელი ხათუნა გურული. მისი ნამუშევრები არა მხოლოდ თერჯოლელთა, ნებისმიერი დამთვალიერებლის მოწონებით სარგებლობს. თექა, გობელენით საქართველოში, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აღიარებული ხათუნა გურულის შემოქმედება ყველაზე მაღალი ჯილდოების მფლობელი გახდა.

ნამუშევრებით ნამდვილად შეუძლია თავი მოიწონოს აგრეთვე მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ქარგვის წრის ხელმძღვანელმა, ოთხი ბიჭის დედამ ანა გოგიაშვილმა, რომლის ხელით ნაქარგებმა სხვადასხვა ფესტივალსა თუ კონკურსში მონაწილეობისას არაერთი ჯილდო დაიმსახურა. ხათუნა გურულისა და ანა გოგიაშვილის ნამუშევრების გამოტანა-გამოფენამ „თერჯოლობაზე“ მეტი ხიბლი შესძინა მუნიციპალიტეტის ამ უპირველეს საზეიმო დღეს.

იყო სხვა უამრავი საინტერესო კუთხე, რომელიც დაკავებული ჰქონდათ როგორც ადგილობრივ, ისე სხვადასხვა რაიონებიდან თუ ქალაქებიდან მოსულ ინდმეწარმეებს, რომლებიც ლამაზ სუვენირებსა და ნაირნაირ ხელნაკეთ პროდუქციას სთავაზობდნენ „თერჯოლობაზე“ შეკრებილ ადამიანებს.

განსაკუთრებით იზრუნეს დღის ორგანიზატორებმა იმისათვის, რომ „თერჯოლობის“ სახალხო ზეიმი ძალიან მიმზიდველი, საინტერესო და მხიარული გასართობი ყოფილიყო თერჯოლელი პატარებისათვის.

ლაშა გოგიაშვილის სკვერის მიმდებარე ტერიტორია და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ეზო მთლიანად დაკავებული ჰქონდა სხვადასხვა სახის ატრაქციონებს. თოჯინების თეატრი (ამფითეატრის სცენაზე) ნიღბების თეატრის შოუ-ზღაპრის გმირები; სახის მოხატვა, ფერადი საპნის ბუშტები, ფოტო-ვიდეოების გადაღება cihit აპატარებით და კიდევ უამრავი გასართობი იყო პატარებისა და მოზრდილების სამსახურში. იყო რიგები, მშობლები ცდილობდნენ მათ შვილებს მაქსიმალურად მიეღოთ სიამოვნება მუნიციპალიტეტის მერიისგან ბავშვებისთვის გაკეთებული საჩუქრისაგან. იყო სახალისო სპორტული ნომრები, გონებრივი თუ ფიზიკური სავარჯიშოები და ა.შ.

დიდი ინტერესი გამოიწვია მერიის შენობის წინ—მარჯვნივ, განლაგებულმა სახანძრო-სამაშველო ტექნიკამ და აღჭურვილობებმა, სადაც ახალგაზრდები ისმენდნენ პროფესიონალ მაშველთა კონსულტაციებს, ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე. აქვე, იმიტირებულ კედელზე ცოცვაში თავის ძალას სცდიდნენ პატარებიც კი.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მომავალი თაობა, პატარა თერჯოლელები იმ დღეს ღონისძიებაზე იყო ბედნიერი და მხიარული. ანუ ბავშვთა სივრცემ, რომელიც ყველა ასაკის მოზარდზე იყო გათვლილი, ვფიქრობთ, ყველას სურვილი სრულიად დააკმაყოფილა. მრავალფეროვან ღონისძიებას განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა მთელი დღის განმავლობაში „იმერული ეზოს“ ვრცელ ტერიტორიაზე მედოლეთა ხმაურიანი სვლები.

„მასპინძელსა მხიარულსა, ჰყავს სტუმარი სასურველი“

„თერჯოლობა-2024“-ზე შეიკრიბა უამრავი ადამიანი—რაიონიდან გასულები, ქალაქებში მცხოვრები სპეციალურად ამ დღისათვის ჩამოვიდნენ, მოვიდნენ აგრეთვე მეზობელი რაიონებიდან, რომ თერჯოლელებთან ერთად ეზეიმათ შემოდგომის ეს მნიშვნელოვანი სახალხო დღესასწაული, რომელიც 2013 წლიდან ყოველ შემოდგომაზე „ღვინის ფესტივალის“ სახელწოდებით ტარდებოდა. გასულ წელს ☞6

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული „თერჯოლობა“ 2024

5☞



კი „თერჯოლობად“ წოდებული უფრო მასშტაბური გახდა და ბუნებრივია, კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესიც მის მიმართ.

დღის 2 საათისათვის ყველა ადმინისტრაციული ერთეული მზადაა სამასპინძლოდ. ბევრი სტუმარიც ისტუმრეს. მათთან „თერჯოლობისა“ და შემოდგომის ზეიმის მისალოცად მივიდნენ თვითმმართველობის ხელმძღვანელები, მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი შალამბერიძე, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ლევან ზალკალიანი და თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელი პირები. ყველა კუთხეში გაიმართა საინტერესო და სასურველი შეხვედრა, მილოცვა-დალოცვა... თბილი ურთიერთსიყვარული და ურთიერთპატივისცემა ზენიტშია. მუნიციპალიტეტის პირველი პირი, ბატონი მანუჩარი ჩვეული უბრალოებითა და კეთილგანწყობით უყურადღებოდ არ ტოვებდა თითქმის არც ერთ ადამიანს, მილოცვის, მოფერების და კეთილი სურვილების გარეშე. მრავლად იყენებენ სტუმრებთან ფოტოების გადაღების მსურველებიც. თითოეულისათვის ეს დღე იყო მართლაც ბედნიერი და დასამახსოვრებელი...

„საუკეთესო ღვინის ძიება“...

თორმეტი წელია თერჯოლაში „ღვინის ფესტივალი“ იმართებოდა და ეს ერთგვარი სტიმულია ჩვენი მევენახე-მეღვინეებისათვის, რომ სულ უფრო საუკეთესო ღვინის დაყენებისათვის და ხალხმრავალ კონკურსში გამარჯვებისათვის იბრძოლონ.

„საუკეთესო ღვინის ძიება“ წლევანდელი სადღესასწაულო მრავალფეროვანი პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. კარგა ხანია „ჩათავდა სოფლად რთველი და შემოდგომა“. წელს გაუმართლა მევენახეს, ყურძნის უხვი მოსავალი იყო, ადრიანად დაიკრიფა, ადრიანადაც დამაჭრდა და დაიდუღა...

ღვინის კონკურსი კი არის მევენახის შრომის წარმოჩენა, იმის დადასტურება, რომ ქართველმა, თერჯოლელმა მეურნემ კარგად იცის ღვინის დაყენების ტექნოლოგია, მეცნიერული მეთოდები, აქვს ცოდნა—გამოცდილება; იცის რომ მევენახეობა-მეღვინეობა ღირსების საქმეა, ამიტომ უყვარს და ელოლიავება, „ვაზო შვილივით ნაზარდოო“, ტყუილად არ ეტყოდა ამ სიტყვებსაც ცხადია. სწორედ ამიტომ ჩვენი ქვეყნის მტრები ამ სამეურნეო დარგის განადგურებას ესწრაფოდნენ ძველი დროიდან, ამით უნდოდათ დაეძლიათ ქართველი კაცის თავგანწირული წინააღმდეგობა და ქედმოუხრელი სულისკვეთება.

დიახ, ქართველი კაცისათვის, ეკონომიკაში მევენახეობა-მეღვინეობას ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და ეს, ასეა დღესაც. ათასეული წლების განმავლობაში იქმნებოდა მისი კულტურა, მუშავდებოდა მისი დამზადების ტექნოლოგიები.

ქართულ ღვინოს ქებით იხსენებდნენ ანტიკური ავტორები და მოგზაურები. მაღალი ხარისხის სამარკო ღვინოების გარდა, ოჯახურ პირობებში დამზადებული ღვინოებიც მოწონებას იმსახურებდა.

* * *

საქართველოში ხუთასამდე ვაზის ჯიშია, თერჯოლაში რამდენიმეა გავრცელებული, სჭარბობს ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური. „თერჯოლობაზე“ სადეგუსტაციოდ ძირითადად ბოცებში (მინა), სპეციალურ კასრებში და ჭურებში დაყენებული ღვინო იყო წარმოდგენილი.

საუკეთესო ღვინოების და მისი მწარმოებელი გამარჯვებულის გამოვლენა სომელიებს: ტარიელ ფანჩულიძეს, რომელსაც ამ საქმეში საკმაო გამოცდილება გააჩნია და მათე ცერცვაძეს ექვსი ნომინაციის მიხედვით უწევდათ, რაც არც ისე იოლი იყო, მაგრამ წესი წესია, გამოვლინდნენ გამარჯვებულები, რომელთა შესახებ ქვემოთ მოგიყვებით.

„აჯობე დროს“

ინოვაციური სივრცე ჩვენს ქალაქში, ფიტნესი და ესთეტიკა ერთად, ასეთი თამამი განაცხადით, შეუერთდა თერჯოლის სახალხო ზეიმს ესთეტიკის ცენტრი „სოფიანა“, რომლის გახსნაც, სწორედ იმ დღეს, 17 ნოემბერს მოხდა. ბედნიერი მომენტი დადგა, როცა ცენტრს ამ განსაკუთრებით მნიშვნელოვან წუთებში მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები მანუჩარ რობაქიძე და გიორგი ბარათაშვილი მოტროპოლიტ გიორგი შალამბერიძესთან და სხვა სტუმრებთან ერთად ეწვივნენ, ლენტი და ტორტი მეუფე გიორგიმ გაჭრა, შემდეგ კი დაათვალიერეს ცენტრის ახალი აღჭურვილობა, მიულოცეს „თერჯოლობა“ და წარმატებები უსურვეს საქმიანობაში.

ცენტრის დამფუძნებელი სოფო ბანძელაძე:

„სიტყვა მადლობა მეცოტავება ამ ემოციის გამოსახატავად, მინდა სიკეთით და ჩვენი წარმატებით გიპასუხოთ. ჩვენი გუნდის მიზანია, რაც შეიძლება მეტი ადამიანი იყოს ჩვენს ირგვლივ ჯანმრთელი, ბედნიერი, ლამაზი და პოზიტიური. ჩვენი სლოგანია „აჯობე დროს“...

ცენტრი ახლა უკვე აღჭურვილია ყველა თანამედროვე ტექნოლოგიებით, რომლის მსგავსი ჯერჯერობით დასავლეთ საქართველოში არსად არ არის. მინდა გვყავდეს ბევრი და კმაყოფილი მომხმარებელი. 12 ადამიანისაგან შემდგარი ჩვენი გუნდი მათ ნამდვილად კომფორტულ, პროფესიონალურ და მათ საჭიროებებზე გათვლილ მომსახურეობას გაუწევს.

მინდა საჯარო მადლობა გადავუხადო ბატონ მანუჩარს გაწეული თანადგომისათვის“.

* * *

კაცი, რომელიც არც ერთ ღვინის ფესტივალსა თუ „თერჯოლობას“ არ დაკლებია, 2013 წლიდან თავისი საამაყო წარსულით, სიდარბაისლით, ეროვნული სამოსით—88 წლისაა და ჩვეული მხარგაშლილობით, ღიმილითა და მხნეობით კვლავ თავისი სოფლის, ძევრის ამალას უმშვენებს მხარს. ეს გახლავთ ალექსანდრე ცქიფურიშვილი. საუკეთესოდ ახსოვს ყველაფერი წარსულიდან, შესანიშნავად აზროვნებს და მეტყველებს. „სიხარულმა მომიყვანა, ცოცხალი რომ ვარ, რომ შემიძლია, ისევ ვიყო ამ ძვირფას ადამიანებს შორის, სიყვარულმა მომიყვანა და მოვალ ყოველთვის, სანამ უფლის ნებით ვიცოცხლებ და შევიძლებ.

გილოცავთ ყველას ამ სახალხო ზეიმს, ვინც ესწრება, ვინც ვერ ესწრება. ღმერთმა გვიმრავლოს მშვიდობიანი საზეიმო დღეები. მიყვარხართ თერჯოლელებო... „ასეთია ბატონი ალექსანდრეს სურვილები „თერჯოლობა—2024“-ის ზეიმზე.

* * *

„თერჯოლობა—2024“ უამრავი ადამიანი დაესწრო და მათ შორის მრავლად იყვნენ ჩვილ-ბავშვიანი დედები თავიანთ პატარებთან ერთად. სულ პატარა ლილე, რომელიც მხოლოდ 2 თვისაა ისე საყვარლად ნაბავდა თვალებს დედის მკერდს მიყრდნობილი,

☞7

სითბო-სიყვარულით სავსე სახალხო დღესასწაული

„თერჯოლობა“ 2024

გულგრილად ვერ ჩავუარეთ, სურათი გადავუღეთ. გავა წლები და მშობლები მარიამ ხუჯაძე და აკაკი ზარნაძე გაიხსენებენ და ეტყვიან, მას რომ ჯერ კიდევ 2 თვისა, ასეთი დიდი სახალხო ზეიმის მონაწილე იყო.

* * *

იმერულ სამზარეულოს, ეთნოგრაფიულ კუთხეებს, საოჯახო მარნებს, კულინარიულ მასტერკლასებს დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობოდნენ. რიგ შემთხვევაში აგემოვნებდნენ და რეკომენდაციებსაც ღებულობდნენ.

ტრადიციული სახალხო დღესასწაული „თერჯოლა—2024“ ოფიციალურად უკვე 12 საათზე დაიწყო ლაშა გოგიაშვილის სახელობის ტურნირის ფინალით მუნიციპალური პირველობისათვის მინი-ფეხბურთში. საფინალო შეხვედრა ძევრისა და თერჯოლის ფეხბურთელთა შორის გაიხსნა ტანმოვარჯიშეთა პერფორმანსით. პარალელურად საზეიმოდ მორთულ სცენაზე გაიმართა კონცერტი საბავშვო ვოკალურ-ფოლკლორული ანსამბლების და ფესტივალის ლაურეატების მონაწილეობით.

„მე ვარ იმედი, მე ვარ ხვალე, დილა მზიანი“...

კონცერტში, რომელიც თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით გაიმართა, მონაწილეობდნენ: ცენტრის ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის წამყვანები, ცენტრის ფოლკლორული ანსამბლი „იმედი“, დირიჟორი ზურაბ რიჟამაძე, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, ქორეოგრაფები: ვიტალი ლაღაძე, ზაურ სვანიძე. მხატვრული კითხვის კლუბის „ნეკას“ პატარები, ხელმძღვანელი ლალა კუპატაძე, სამუსიკო სკოლის ბავშვთა ანსამბლი „ჭიუხი“, დირიჟორი გულთამზე კუბლაშვილი, აკომპანიატორი რამაზ მემანიშვილი. ინდივიდუალური შემსრულებლები, სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები: ბარბარე ნიკოლაძე, ბარბარე ზურაბიშვილი, მათე სირბილაძე, ქეთი ქოჩიაშვილი, ნანო სოფრომაძე. ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „საპოვნელა“, ქორეოგრაფები: ირინა ბუცხრიკიძე, თამარ ჭანკვეტაძე, გიორგი ჭანკვეტაძე.

თითოეული ანსამბლი თუ ინდივიდუალური შემსრულებელი საუკეთესო მუსიკალური თუ ქორეოგრაფიული ნომრით წარსდგა მაყურებელთა წინაშე. კონცერტის მაღალ დონეზე ჩატარდა, მაყურებელთა ყიჟინა და აპლოდისმენტებიც ამის დასტური იყო.

* * *

„თერჯოლობის“ დღესასწაულზე დილიდან მივედით „თერჯოლის“ ჟურნალისტები. გაფაციცებით ვათვალიერებდით, ვინიშნავდით ყველაფერს, რაც საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა ღონისძიების გასაშუქებლად.

„ქვედა სიმონეთთან გავლისას“ ქალბატონებმა მიგვიპატიჟეს, ჩვენ მადლობა გადავუხადეთ და ვუთხარით, რომ მალე სტუმრების მიპატიჟება და გამასპინძლება მოუწევდათ. მობრძანდითო, გვთხოვეს დაჟინებით. „სტუმრები მოვლენ დაილოცებიან და წავლენ, თქვენ კი სტატიას დაწერთ, რომელიც თერჯოლის ამ ლამაზი დღის ისტორიას შემოინახავს-ო“... შემოთავაზებული ხაჭაპური დავაგემოვნეთ და გვესიამოვნა, თუმცა არანაკლებ სასიამოვნო იყო ჩვენთვის მათგან გაზეთში გამოქვეყნებული სტატიის მნიშვნელობის გააზრება...

შესაძლებლობა გვქონდა აგრეთვე, ღვანკითელთა მიპატიჟებაზე თონიდან, სკოლის დირექტორის, ქალბატონ ინგა ჯალიაშვილის მიერ სახელდახელოდ ახლადამოყრილი უგემრიელესი პური და ხაჭაპური დაგვეგემოვნებინა. მადლობა მათ გულითადი მასპინძლობისათვის.

* * *

მას შემდეგ, რაც მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირების მიერ სტუმრებთან ერთად შემოვლა-დათვალიერება, მილოცვები დასრულდა, „იმერული ეზოს“ ბინადარნი თავთავიანთ მაგიდებს შემოუსხდნენ და „პურობა“ გამართეს. საერთო თამადა, აქ არ აურჩევიათ, ყველა სოფელს თავისი ჰყავდა. შემოსწრებულ-მოწვეულიც თავისას ამბობდა, იყო წესრიგი, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული...

დრო დაღამებისკენ მიდიოდა, როცა სუფრას „აღარ შერჩა ერთი კაციცა“, ყველა შეზარხოშებული იყო, განა ღვინითა—სიყვარულითა და ემოციებით, მაგრამ არავინ მთვრალი. თუმცა სიმთვრალეშიც არაფერი იქნებოდა გასაკვირი—თვით ბიბლიური ნოეც ხომ დაითრო...

სოფლებმა თავიანთი კუთხეების ალაგება დაიწყეს. ზოგგან ხელახლა მიუბრუნდნენ სუფრას, „გადამქრალი“ ნაკვერჩხალი მაყალში ისევ გაღვივდა, ვიღაცამ ჭინჭილა მოითხოვა, ჭინჭილა, რომელმაც „გოლიათი მსმელი“, გულბაათ ჭავჭავაძეც კი წააქცია, ეს პატარა სასმისი და „კულა“ უძველესია, რომლებიც ჩვენს წინაპრებს გამორჩეულად ჰყვარებიათ...

მომავალ ნომერში, ამ პუბლიკაციის დასასრულში მოგითხრობთ სახალხო დღესასწაულის სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებზე:

—ლაშა გოგიაშვილის სახლობის ტურნირი მინი-ფეხბურთში. ფინალი

—ღვინის კონკურსი

—ახალი საპატიო მოქალაქეები

და სხვა აქტივობები

წმინდა გიორგი გვფარავდეს!

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესია წელიწადში ორჯერ - 23 აპრილსა (6 მაისი) და 10 ნოემბერს (23 ნოემბერი) - ზეიმობს დიდმოწამე გიორგის ხსენებას. ნოემბრის გიორგობას მართლმადიდებელ სამყაროში მხოლოდ საქართველოს ეკლესია აღნიშნავს, რადგან წმინდანის საგვემელ ბორბალზე წამება სისასტიკით ჯვარცმასაც არ ჩამოუვარდება.

წლევანდელი ნოემბრის გიორგობა ტრადიციული წირვა-ლოცვით აღინიშნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ეკლესია-მონასტრებში. 23 ნოემბერს განსაკუთრებული ხალხმრავლობა იყო დიდმოწამის სახელობის სალოცავებში.

ამ მხრივ, როგორც ყოველთვის ამ დღეს გამორჩეულად ბევრი მომლოცველი ესტუმრა გოგნის ძველ სალოცავს—„კარუგდებელს“ და გოგნის წმ. გიორგის სახელობის ახალ ტაძარს.

წმინდა გიორგის სიკვდილისწინა ლოცვა ღმრთისადმი

წმინდა გიორგის სიკვდილისწინა ლოცვა, რომელსაც აქ წარმოგიდგენთ, სულის სიღრმემდე შეგძრავთ. ეს უდიდესი წმინდანი უფალს მადლობას სწირავს იმ მოთმინებისთვის, რაც წამების ჟამს მომადლა, და ითხოვს ცოდვათა მიტევებას, მის მწამებელ წარმართთა შენდობას და რაც ყველაზე საოცარია, უფალს სთხოვს მომადლოს მის ძვლებს მადლი, რათა ყოველმა კაცმა, რომელიც მიეახლება, მიიღოს კურთხევა და ცოდვათა შენდობა. გვეწეოდეს ამ უდიდესი წმინდა ადამიანის ლოცვა, სადაც მის წმინდა ნაწილებს იხილავთ, გაიხსენეთ ეს ლოცვაც:

„უფალო ღმერთო ჩემო, რომელი ხარ შემოქმედი ყოველთა საუკუნეთაი, რომლისა მიმართ მოვივლტოდე სიყრმით ჩემითგან, რომელი უწინარეს თხოვისა მისცემ ნიჭთა შენთა მოყუარეთა შენთა, ყოვლად ძლიერო და სახიერო და კეთილო ქრისტეანეთა სასოებაო და უტყეველო მონათა შენთაგანთა აღთქმაო, რომლისა-ეგე დიდებაი გამოუთქმელ არს და სუფევაი დაუსრულებელ, შენ, უფალო, ისმინე ჩემი, რომელმან მომმადლე მე ღვაწლსა ამას წამებისასა ვიდრე აღსასრულამდე სრულყოფაი და ტანჯვათა შინა მოთმინებაი. აწცა, სახიერო, შეიწყნარე სული ჩემი და იხსენ იგი ეშმაკთა მათგან განმკითხველთა, რომელნი არიან ჰაერთა შინა, და სათნოთა შენთა თანა შემრაცხე მე და შეუნდვე წარმართთა ამათ, რაოდენიცა რაი ძლიერი ყვეს ჩემდა მომართ და ნეტართა მათ მონათა შენთა, რომელნი-იგი სახელისა შენისათვის იწამნეს, და განანათლენ ესენი ცნობითა ჭეშმარიტებისა შენისაითა, რამეთუ ყოველთა კაცთა გნებავს ცხორებაი და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსლვაი.

მოხედე, უფალო, სიმდაბლესა ზედა ჩემსა და მომმადლე თხოვაი ესე ჩემი, რომელსა ვითხოვ შენგან, რამეთუ ვინაითგან მრავალნი ვლიან, რათა მიიღონ ძვალთა ჩემთაგან, ამისთვის შეუვრდები მოწყალებასა შენსა. მოეც, უფალო, მადლი ძვალთა ჩემთა, რათა ყოველი კაცი, რომელი სარწმუნოებით იხილვიდეს და შეიმთხვევდეს, მოაქვნდეს მას მადლი და კურთხევაი და შენდობაი ცოდვათაი. და უკეთუ ვინმე ჩვენებასა იხილვიდეს ანუ დგეს საშჯელსა შინა საშინელსა და მოიხსენოს სიმდაბლე ესე ჩემი, ყავ განთავისუფლებაი მისი, თვინიერ ჭირისა და განსაცდელისა. და რაჟამს მოიღრუბლოს ცათა სეტყვად ქვეყანისა და მოიხსენონ მუნ მდგომარეთა წამებაი ესე ჩემი, ნუ მივალნ ადგილსა მას ჰაერი მავნებელი, არამედ ცვარი მშვიდობისაი იყავნ საკურნებელად მათა. უფალო, ღმერთო, მოეც მადლი, რომელი იხსენებდეს წამებასა ღვაწლისა ჩემისასა და ნუ იყოფინ შეკრვაი სულთა და ხორცთა მათთაი, ნუცაღა კეთროვანებაი ასოთა მათთა, ანუ თუ სხვაი რაიმე წყლულებაი, რომელი იყოს მტერისა მიერ, არამედ მიუტევენ შეცოდებანი მათნი და განკურნენ სალმობანი მათნი, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან ღმერთმან, რამეთუ შენ მხოლომან უწყი, ვითარმედ ხორც და სისხლ არიან და შენ თავადმან იცნი ალაგნი კაცთანი და შენ უწყი, უფალო, მაცთური მათი მტერი და სიბოროტე მისი, რომელი-იგი შემუსრე ქვეშე ფერხთა მათთა ადრე. და ნუ იყოფინ ბრალი და ბიწი ყოველი, რომელი იკითხვიდეს, გინა ისმენდეს წამებასა ჩემსა. გარდამოუვლინე, უფალო, შეწევნაი მვედრებელთა შენთა და მიეც მათ შიში შენი და სურვილი წმიდათა შენთა სიყვარულისაი, რათა აღასრულებდენ სახსენებელსა მათსა და მიემსგავსნენ სარწმუნოებასა მათსა, რათა ღირს იქმნენ მათ თანა ცხორებასა ზეცისასა და სუფევასა საუკუნესა, რამეთუ შენი არს სუფევაი, ძალი და დიდებაი მამისა და ძისა და წმიდისა სულისაი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ“.

წმინდა გიორგის საფლავი

წმინდა გიორგის საფლავი მდებარეობს წმინდა მიწაზე. წამების შემდეგ იგი დაკრძალულია ქალაქ ლოდში. IV საუკუნეში საფლავზე ბიზანტიური ტაძარი აიგო, მაგრამ VII საუკუნეში, სპარსების შემოსევის შემდეგ, ტაძარი დაინგრა. XI საუკუნეში ბიზანტიური ეკლესიის ნარჩენებზე ჯვაროსნებმა ახალი ტაძარი ააშენეს, მაგრამ XIII საუკუნეში ეს ტაძარიც დაინგრა და მის ადგილას ააშენეს მეჩეთი, რომელიც დღესაც ითვლება მთავარ მეჩეთად ლოდში. მიუხედავად ამისა, 1871 წელს თავიდან აშენდა ახალი მართლმადიდებლური ტაძარი წმინდა გიორგის საფლავზე. ამ ეკლესიაში იმყოფება წმინდა გიორგის საფლავი. წმინდანის ნაწილები საქართველოს ეკლესიებში ძველთაგანვე ინახებოდა, მათ შორის სვეტიცხოვლის, ილორის, გელათისა და სხვა ტაძრებში.

23 ნოემბერს, გიორგობას, გოგნის „კარუგდებელი“— ძველი სალოცავი და გოგნის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი ტყიბული-თერჯოლის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგიმ. მან დალოცა შეკრებილი მრევლი, უსურვა ჯანმრთელობა, ღვთის კურთხევა და გაძლიერება.

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872